ТВЕЛОС ПАРЛАМЕНТИ

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

ბი, 0118 რუსთაველის გამზ. 8
28 16 44
92 24 09

№ 2520/ 4-12
„15" 02 2007 წ

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ცქიტიშვილის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 15 თებერვალს რიგგარეშე სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ცქიტიშვილის 2007 წლის 8 თებერვლის განცხადება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. როგორც პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი აღნიშნული განცხადებიდან ირკვევა, ბატონი ზურაბ ცქიტიშვილის გადაწყვეტილება დაკავშირებულია მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, რის გამოც ითხოვს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ცქიტიშვილის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი განხილულ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

კომიტეტის გადაწყვეტილებით საკითხზე მომხსენებლად დაინიშნა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით თოდრაძე

კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე

დავით თოდრაძე